MES 8 23 0000039745

17/01/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 27/12/2022
სხდომის დაწყების დრო: 14:06
სხდომის დასრულების დრო: 18:50
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომშისაბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მადგილე;
3. **ლევან მოსახლიშვილი** - სს "საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;

4. **ერეკლე ასტახიშვილი** - შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის“ პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
5. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
6. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
7. **დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
8. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
9. **დავით ჩოჩიშვილი -** სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
10. **გურანდა ჭელიძე -** შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პროფესორი;
11. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
12. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
13. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
14. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
15. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
16. **ირინა გველესიანი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე სხვა პირები:

სსიპ - განათლებისხარისხისგანვითარებისეროვნულიცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომა დგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	**ანი ლელაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი

1	გიორგი გვალია		პროფესორი, უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი,	I
2	გია ნოდია		პროფესორი, თავისუფალი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი.	I
3	გიგა ზედანია		პროფესორი, ფილოსოფიის პროგრამების ხელმძღვანელი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი.	I
4	თამარ ცოფურაშვილი		პროფესორი, ფილოსოფიის პროგრამების ხელმძღვანელი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი.	I
5	ნინო ჟვანია,		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
6	ეკა კვინიკაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე	I
7	მაკა ლაშხია	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი.	I
8	ნინო მატარაძე		დეკანი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი.	I
9	გიორგი ოდოშაშვილი,		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი.	I
10	ზვიად ზალიკიანი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი.	I
11			ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის	I

	სალომე გავაშელიშვილი		სპეციალისტი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი.	
12	თეა კორძაძე	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;	II
13	ლუკა დვალიშვილი		ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დედაკი	II
14	ინგა აბრამიძე		ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;	II
15	მირიან ებანოიძე		პროგრამების ხელმძღვანელი	II
16	ნუგზარ სხირტლაძე	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში	III
17	დიანა მჭედლიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი	III
18	დავით ნატროშვილი		კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი	III
19	ნინო ხვლეური		კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრაციული დირექტორი;	III
20	მარიამ მანჯგალაძე		ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი.	III
21	ყარამან ქუთათელაძე	აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	რექტორი	IV
22	ლალი თარიმანიშვილი		კანცლერი	IV
23	ნინო ღაღანიძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
24	თამარ ხუნდაძე		რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის დეკანი	IV
25	ნინო ჭოღოშვილი		რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	IV
26	ანა კლდიაშვილი		რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის	IV

			ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
27	ირინა არჯევანიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	IV
28	არჩილ ჯანგირაშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V
29	ქეთევან გივიშვილი		სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	V
30	ნატა სტურუა		პროგრამის ხელმძღვანელი	V
31	ანა ხურციძე		სამართლის სკოლის დირექტორი	V
		თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის		
32	ვახტანგ ლეჟავა		რექტორი	VI
33	ნათია სამუშია		პრორექტორი	VI
34	მარინა ქარჩავა		პრორექტორი	VI
35	ანკა თაბუკაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	VI
36	მარიამ მოქია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი	VI
37	თამუნა გეგეშიძე		აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი	VI
38	თეა ოდიშვილი		ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი	VI
39	მარიამ ჯაფარიძე		საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინატორი	VI
40	ნუცა ბათიაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	VI
41	ლანა გაბრიაძე		პროგრამის კოორდინატორი	VI
42	ალექსანდრე მოსიძე		აკადემიური პერსონალი	VI
43	ლაშა მაშიაშვილი		აკადემიური პერსონალი	VI
44	ნიკოლოზ ალექსიძე		აკადემიური პერსონალი	VI
45	ნინო ჟღენტი		აკადემიური პერსონალი	VI
46	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.	VII
47	ნოე ხოზრევანიძე		სტუ-ის მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის ხელმძღვანელი	VII
48	ნანა ახალაია		სტუ-ის მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის	VII

			ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.	
49	ნანა ვასაძე		„მთის მდგრადი ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	VII

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	კლაუდია ტერეზა მარისკო	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ირინე დარჩია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	გიორგი თავაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
4	ნიკოლოზ ალექსიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
5	თინათინ გაბრიჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	გიორგი არქანია	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
7	თამარ ცოფურაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ანი ქვათაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	ზაალ კიკვიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	ელენე გოგიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	ნათია კენჭიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
12	გიგა ხოსიტაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
13	ლიანა ზაგაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
14	თამარ ჩოკორაია	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
15	მარიამ მანჯგალაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
16	თინათინ გაბრიჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
17	ზვიად როგავა	(ჩაერთო „ზუმით“)	V
18	ნინო ფარსადანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
19	იაგო კაჭკაჭიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
20	ფლორა ესებუა	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
21	ეკალ დევიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VII

აკაკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:06 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფილოსოფიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობის)" საბაკალავრო, ,,ფილოსოფიის" სამაგისტრო, ,,ფილოსოფიის" სადოქტორო და ,,თავისუფალი მეცნიერებების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობის)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოსოფიის" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „საერთაშირისო ბიზნეს სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "სოციალური მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილა;
7. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ,,მთის მდგრადი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· კი

დამტკიცებული დღის წესრიგი

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფილოსოფიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობის)" საბაკალავრო, ,,ფილოსოფიის" სამაგისტრო, ,,ფილოსოფიის" სადოქტორო და ,,თავისუფალი მეცნიერებების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობის)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოსოფიის" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „საერთაშირისო ბიზნეს სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "სოციალური მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილა;
7. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ,,მთის მდგრადი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

8. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 17 ივლისის №662814 "სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ინტერდისციპლინური საგანმანათლებლო პროგრამისგან გამოყოფის შესახებ" გადაწყვეტილებაში ცვლილების განხორციელების საკითხის განხილვა.
9. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 28 აგვისტოს №952867 "სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და კვალიფიკაციის კოდისა და სახელწოდების ცვლილების შესახებ" გადაწყვეტილებაში ცვლილების განხორციელების საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფილოსოფიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობის)" საბაკალავრო, ,,ფილოსოფიის" სამაგისტრო, ,,ფილოსოფიის" სადოქტორო და ,,თავისუფალი მეცნიერებების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობის)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	„ფილოსოფია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N69 30.09.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფილოსოფიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0223-ფილოსოფია და ეთიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზირი 32, 0179, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	„ფილოსოფია“
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N295_ 02/08/2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფილოსოფიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0223-ფილოსოფია და ეთიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზირი 32, 0179, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	„ფილოსოფია“
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N20. 22.01.2019
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფილოსოფიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0223-ფილოსოფია და ეთიკა
12	სწავლების ენა	ქართული

13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	36
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზირი 32, 0179, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	„თავისუფალი მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N69 30.09.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფილოსოფიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0223-ფილოსოფია და ეთიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზირი 32, 0179, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა ირინა ლობჟანიძემ. საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ კლასტერის თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტი იყო კარგად ორგანიზებული კლასტერის ფარგლებში შემოწმდა 4 პროგრამა, რომლებიც შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. გაიცა ორი ინდივიდუალური რეკომენდაცია კონკრეტულ პროგრამებთან დაკავშრებით. ერთი რეკომენდაცია კი ზოგადად კლასტერთან დაკავშირებით. დასკვნის პროექტის ჩაბარების შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც წარმოდგენილია გარკვეული მტკიცებულებები რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე, მიუხედავად ამისა რამდენიმე ასპექტი დარჩა, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს. ექსპერტმა, ასევე, ისაუბრა პროგრამის ძლიერ მხარეებზე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის კავალიფიკაციაზე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევების შედეგებსა და მათ კვლევით პოტენციალზე, ისაუბრა ასევე ინტერნაციონალიზაციის მაღალ დონეზე არა მარტო სადოქტორო პროგრამაზე, არამედ სხვა პროგრამებთან მიმართებითაც. ექსპერტმა, ასევე, ყურადღებაა გაამახვილა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაზე, რომელიც კარგად არის ჩამოყალიბებული და ორგანიზებული. ექსპერტის თქმით უნივერსიტეტში ბიბლიოთეკის მომსახურება მაღალი ხარისხისაა. უნივერსიტეტში ძალიან კარგად არის დანერგილი პროფესორების მოთხოვნით სტუდენტებისთვის ელექტრონული რიდერების მომზადება, მოთხოვნის შემთხვევაში საინფორმაციო შეხვედრებისა და ტრენინგების ჩატარება, სტუდენტებისთვის ელექტრონული ბაზების შესახებ რეგულარული ტრენინგის ჩატარება და სხვა სერვისები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის. მან საბჭოსთან დააყენა შუამდგომლობა, რომ საბჭოს განსახილველ საკითხებთან მიმართებით მისაღები გადაწყვეტილებები ძალაში შესულიყო 31 დეკემბრიდან. დაწესებულების წარმომადგენელმა სტანდარტის 1.4 კომპონენტთან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა „თავისუფალი მეცნიერებების“ საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით გაუმჯობესდეს კომუნიკაცია ადმინისტრაციასა და „თავისუფალი მეცნიერებების“ გუნდს შორის, რათა მოხდეს მათი უკეთესად ინტეგრირება მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის, განხორციელების, განვითარების და გაუმჯობესების პროცესში უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მჭიდროდ თანამშრომლობს პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან და პროგრამის სამუშაო ჯგუფთან, რომელშიც შედის მოწვეული და აკადემიური პერსონალი. აღნიშნული პრაქტიკა გამოყენებული იყო “თავისუფალი მეცნიერებების” პროგრამის კურიკულუმის და მისი კატალოგის განახლების პროცესში, რომელიც წარდგენილი იყო კლასტერში. ასევე მან დაამატა, რომ “თავისუფალი მეცნიერებების” საბაკალავრო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის უნივერსიტეტში მეტი ინტეგრაციის და მათთან კომუნიკაციის შემდგომი განვითარებისთვის, ყოველი სემესტრის დაწყებამდე იგეგმება შეხვედრა, სადაც მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სამუშაო ჯგუფს წარუდგენს სხვადასხვა

საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედ კატალოგს იმისთვის, რომ მოხდეს პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების ინფორმირება უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამებში შეთავაზებული კურსების შესახებ, რომელიც შეიძლება იყოს რელევანტური თავისუფალი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამისთვის. მათ მიაჩნიათ, რომ აღნიშნული რჩევის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი.
დაწესებულების წარმომადგენელმა სტანდარტის 5.3 კომპონენტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათ გაზაფხულის სემესტრიდან დანერგეს ხარისხის უზრუნველყოფის განახლებული მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, მათ შორის კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების, თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების რეაკრედიტაციის პროცესში, პროგრამების შეფასებისა და ამ შეფასებების გათვალისწინებით რელევანტური ცვლილებების განხორციელებისას გამოყენებული იყო შიდა ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტური ინსტრუმენტები და მექანიზმები. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ზემოთ გამოთქმულ რეკომენდაციას უნდა ჰქონდეს რჩევის ხასიათი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რატომ თვლის დაწესებულება, რომ 5.3 კომპონენტთან გაცემულ რეკომენდაციას უნდა ჰქონდეს რჩევის სახე.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საუბარი იყო კონკრეტულ ინდიკატორებზე, რომლებიც მათ დამატებით შემოიღეს პროგრამის შეფასების პროცესში. მაგალითად აკადემიური მოსწრების ნაწილში ისინი არ უყურებდნენ გარკვეულ ინდიკატორებს, მათ შორის სტატისტიკურ მონაცემებს. მათ ეს სისტემა განავითარეს იმ მიზნით, რომ უფრო კარგი ყოფილიყო უკუკავშირი. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ეს გააკეთეს გაზაფხულის სემესტრიდან და ამჟამად მიმდინარეობს მონაცემების დამუშავება.
საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ, დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა, მისი თქმით, თვითშეფასებაში საუბარია ერთობლივი ხარისხის მინიჭებაზე და იქვე აღწერილია, რომ საერთაშორისო სადოქტორო სკოლა ეხმარება დოქტორანტებს თანახელმძღვანელის მოძიებაში და ორმაგი ხარისხის მინიჭების წარმართვაში. ის დაინტერესდა ეს კეთდებოდა კონკრეტულ დოქტორანტზე თუ კონკრეტული პროგრამის ფარგლებში ყველას აქვს უფლება მიენიჭოს ორმაგი ხარისხი.
დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ გააჩნია რა მიმართულებით ჩააბარებს დოქტორანტი. როგორც მან აღნიშნა, დაწესებულებას აქვს სპეციალური პროგრამა პრაქტიკულ ფილოსოფიაში, რომელსაც ახორციელებენ მიუსტერის უნივერსიტეტთან ერთად რომელიც გულიხმობს სწორედ იმას, რომ თითეულ დოქტორანტს ჰყავს როგორც ილიაუნის პროფესორი, ასევე მიუსტერის უნვერსიტეტის პროფესორი ხელმძღვანელად. ყველა დოქტორანტი, რომელიც ჩააბარებს ფილოსოფიის პროგრამაზე იქნება ამ პროგრამაზეც, ეს სპეციფიური ამბავია, მაგრამ მიაღწიეს იმას, რომ საერთაშორისო სადოქტორო სკოლა, რომელიც არსებობს უნივერსიტეტში თავის სერვისებს სთავაზობს არა მხოლოდ საერთაშორისო პროგრამებში ჩართულ სტუდენტებს, არამედ, ასევე, ნებისმიერ სხვა სტუდენტს მუხედავად იმისა არის თუ არა საერთაშორისო პროგრამაში ჩართული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:24 სთ
დასრულების დრო: 14:29 სთ

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და კენჭისყრა

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი

პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენასსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფილოსოფიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობის)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფილოსოფიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობის)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:
1. გამრავალფეროვნდეს ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალი კურსში შესავალი ადამიანის უფლებათა ფილოსოფიაში, რათა მან მოიცვას კურსის შინაარსში ჩამოთვლილი თემები;
2. დაწესებულებამ სრულად დანერგოს ხარისხის არსებული მექანიზმები პროგრამის შესაფასებლად და უზრუნველყოს პროცესებში გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

რჩევები:

1. დაწესებულებამ წარმოადგინოს ვებგვერდის სრული ვერსია, რომელიც ამჟამად შეიცავს ღირებულ ინფორმაციას, თუმცა არ არის სრული საერთაშორისო ენაზე, რაც გააძლიერებდა მის ხილვადობას. სასარგებლო იქნება არსებული ზომების გაძლიერება, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიღწევადობას ადგილობრივ გარემოს მიღმა არსებულ სამიზნე აუდიტორიამდე;
2. გაიზარდოს სწავლებაში ჩართული პერსონალის გადამზადების შესაძლებლობები შეფასებასთან დაკავშირებით;
3. გაგრძელდეს სტუდენტთა მუშაობის სტატისტიკური ანალიზის შემუშავება;
4. გაუმჯობესდეს მოწვეული პერსონალის სამუშაო პირობები, რაც გულისხმობს ხელფასს, წლიურ კონტრაქტებსა და აკადემიური გაუმჯობესებისთვის შესაძლებლობებისა და დაფინანსების ხელმისაწვდომობას;

5. დაწესებულების მიერ შეიძლება განიხილებოდეს თვითშეფასების გუნდში სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების, ასევე დამსაქმებლთა ჩართვა. მიუხედავად იმისა, რომ ჩანს მათი უკუკავშირი სხვადასხვა ფორმით, მათი ჩართულობა პროგრამების სამუშაო ჯგუფებში შეიძლება სასარგებლო იყოს პროგრამებისთვის;
6. გადანაწილდეს თემები კურსებში „შუასაუკუნეების ფილოსოფია“ და „ახალი ეპოქის ფილოსოფია“, რათა აისახოს მათი სათანადო კუთვნილება შესაბამის ეპოქებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენასსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფილოსოფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფილოსოფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:
1. დაწესებულებამ სრულად დანერგოს ხარისხის არსებული მექანიზმები პროგრამის შესაფასებლად და უზრუნველყოს პროცესებში გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

რჩევები:

1. დაწესებულებამ წარმოადგინოს ვებგვერდის სრული ვერსია, რომელიც ამჟამად შეიცავს ღირებულ ინფორმაციას, თუმცა არ არის სრული საერთაშორისო ენაზე, რაც გააძლიერებდა მის ხილვადობას. სასარგებლო იქნება არსებული ზომების გაძლიერება, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიღწევადობას ადგილობრივ გარემოს მიღმა არსებულ სამიზნე აუდიტორიამდე;
2. გაიზარდოს სწავლებაში ჩართული პერსონალის გადამზადების შესაძლებლობები შეფასებასთან დაკავშირებით;
3. გაგრძელდეს სტუდენტთა მუშაობის სტატისტიკური ანალიზის შემუშავება;

4. გაუმჯობესდეს მოწვეული პერსონალის სამუშაო პირობები, რაც გულისხმობს ხელფასს, წლიურ კონტრაქტებსა და აკადემიური გაუმჯობესებისთვის შესაძლებლობებისა და დაფინანსების ხელმისაწვდომობას;
5. დაწესებულების მიერ შეიძლება განიხილებოდეს თვითშეფასების გუნდში სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების, ასევე დამსაქმებლთა ჩართვა. მიუხედავად იმისა, რომ ჩანს მათი უკუკავშირი სხვადასხვა ფორმით, მათი ჩართულობა პროგრამების სამუშაო ჯგუფებში შეიძლება სასარგებლო იყოს პროგრამებისთვის;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფილოსოფიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფილოსოფიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:
1. დაწესებულებამ სრულად დანერგოს ხარისხის არსებული მექანიზმები პროგრამის შესაფასებლად და უზრუნველყოს პროცესებში გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

რჩევები:

1. დაწესებულებამ წარმოადგინოს ვებგვერდის სრული ვერსია, რომელიც ამჟამად შეიცავს ღირებულ ინფორმაციას, თუმცა არ არის სრული საერთაშორისო ენაზე, რაც გააძლიერებდა მის ხილვადობას. სასარგებლო იქნება არსებული ზომების გაძლიერება, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიღწევადობას ადგილობრივ გარემოს მიღმა არსებულ სამიზნე აუდიტორიამდე;
2. გაიზარდოს სწავლებაში ჩართული პერსონალის გადამზადების შესაძლებლობები შეფასებასთან დაკავშირებით;
3. გაგრძელდეს სტუდენტთა მუშაობის სტატისტიკური ანალიზის შემუშავება;

4. გაუმჯობესდეს მოწვეული პერსონალის სამუშაო პირობები, რაც გულისხმობს ხელფასს, წლიურ კონტრაქტებსა და აკადემიური გაუმჯობესებისთვის შესაძლებლობებისა და დაფინანსების ხელმისაწვდომობას;
5. დაწესებულების მიერ შეიძლება განიხილებოდეს თვითშეფასების გუნდში სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების, ასევე დამსაქმებლთა ჩართვა. მიუხედავად იმისა, რომ ჩანს მათი უკუკავშირი სხვადასხვა ფორმით, მათი ჩართულობა პროგრამების სამუშაო ჯგუფებში შეიძლება სასარგებლო იყოს პროგრამებისთვის;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენასსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „თავისუფალი მეცნიერებების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „თავისუფალი მეცნიერებების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია გაუმჯობესდეს კომუნიკაცია ადმინისტრაციასა და „თავისუფალი მეცნიერებების“ გუნდს შორის, რათა მოხდეს მათი უკეთესად ინტეგრირება მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან.
2. დაწესებულებამ სრულად დანერგოს ხარისხის არსებული მექანიზმები პროგრამის შესაფასებლად და უზრუნველყოს პროცესებში გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

რჩევები:

1. დაწესებულებამ წარმოადგინოს ვებგვერდის სრული ვერსია, რომელიც ამჟამად შეიცავს ღირებულ ინფორმაციას, თუმცა არ არის სრული საერთაშორისო ენაზე, რაც გააძლიერებდა მის ხილვადობას. სასარგებლო იქნება არსებული ზომების გაძლიერება, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიღწევადობას ადგილობრივ გარემოს მიღმა არსებულ სამიზნე აუდიტორიამდე;

2. გაიზარდოს სწავლებაში ჩართული პერსონალის გადამზადების შესაძლებლობები შეფასებასთან დაკავშირებით;
3. გაგრძელდეს სტუდენტთა მუშაობის სტატისტიკური ანალიზის შემუშავება;
4. გაუმჯობესდეს მოწვეული პერსონალის სამუშაო პირობები, რაც გულისხმობს ხელფასს, წლიურ კონტრაქტებსა და აკადემიური გაუმჯობესებისთვის შესაძლებლობებისა და დაფინანსების ხელმისაწვდომობას;
5. დაწესებულების მიერ შეიძლება განიხილებოდეს თვითშეფასების გუნდში სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების, ასევე დამსაქმებლთა ჩართვა. მიუხედავად იმისა, რომ ჩანს მათი უკუკავშირი სხვადასხვა ფორმით, მათი ჩართულობა პროგრამების სამუშაო ჯგუფებში შეიძლება სასარგებლო იყოს პროგრამებისთვის;
6. რჩევაა სამეცნიერო ნაშრომები „თავისუფალი მეცნიერებების“ კურსების სილაბუსებში მიეთითოს არა როგორც სავალდებულო, არამედ როგორც დამატებითი სასწავლო მასალა იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი იქნებიან გაიღრმავონ თავიანთი ცოდნა შესაბამის კვლევით სფეროებში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე (მაგ. იხილეთ სილაბუსები - დიადი წიგნები II, დიადი წიგნები III, ბერძნული დრამა ანტიკურობისა და თანამედროვეობის კონტექსტში და სხვ.).

მეორე საკითხი:სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოსოფიის" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფილოსოფია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 47; 23.09.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ფილოსოფიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0223-ფილოსოფია და ეთიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	სასწავლოკორპუსიNo1, თამარმეფისქ., No59; ქ. ქუთაისი, საქართველო
15		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფილოსოფია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 126, 29.08.2016
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფილოსოფიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0223-ფილოსოფია და ეთიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	სასწავლოკორპუსიNo1, თამარმეფისქ., No59; ქ. ქუთაისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ კლასტერის თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მან აღნიშნა, რომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტის ფარგლებში მათ შეაფასეს ფილოსოფიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამა. დასკვნის პროექტის ჩაბარების შემდგომ დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი დარჩა ძველ პოზიციაზე. ექსპერტის თქმით კლასტერულ ჭრილში მათი მხრიდან გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია - დაიხვეწოს შეფასებითი კომპონენტებისათვის ხვედრითი წილის მინიჭების წესი, რათა გამოირიცხოს სხვადასხვა სირთულის კომპონენტებისთვის (მაგალითად, დისკუსია და პრეზენტაცია) ერთნაირი ხვედრითი წილის მინიჭება. დაწესებულებას მოცემულ რეკომენდაციასთან დაკავშრებით ჰქონდა თავისი არგუმენტირებული პასუხი, თუმცა მან ასევე აღნიშნა, რომ სასწავლო კურსების სპეციფიურობის გათვალისწინებით მოხდება შეფასების სისტემის გადახედვა აქტივობის კომპონენტში შეფასების ფორმების ხვედრით წილთან მიმართებაში.

შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, კერძოდ, რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის განმახორციელებელ თითოეულ პერსონალს უწყვეტად გაუზიაროს როგორც თავიანთი ინდივიდუალური შეფასებები, ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის გასაუმჯობესებლად გამოყენებული ერთიანი ანგარიში შეფასების შედეგების შესახებ. აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებითაც ჰქონდა დაწესებულებას პოზიცია თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი დაეყრდნო ინტერვიუირების პროცესს და ეს რეკომენდაცია ძალაში დატოვეს.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს უფრო დეტალურად ესაუბრა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა თქვა, რომ პირველი რეკომენდაცია ეხებოდა კლასტერს დაიხვეწოს შეფასებითი კომპონენტებისათვის ხვედრითი წილის მინიჭების წესი, რათა გამოირიცხოს სხვადასხვა სირთულის კომპონენტებისთვის (მაგალითად, დისკუსია და პრეზენტაცია) ერთნაირი ხვედრითი წილის მინიჭება. მისი თქმით, სხვადასხვა აქტივობა, რომელიც არის 30 ქულიანი ყველას როგორც დისკუსიას, ასევე პრეზენტაციას სხვადასხვა ხარისხით 5-5 ქულა აქვს მინიჭებული.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა მასალების განახლებასთან დაკავშირებული რეკომენდაციით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია გაცემული იყო ორივე პროგრამასთან მიმართებით. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პასუხში მხოლოდ „ფილოსოფიის“ საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით გვიპასუხა და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში მუდმივად ხდება წიგნადი ფონდის განახლება საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, მათ შორის ფილოსოფიის მიმართულებით და განახლების პროცესი მომავალშიც გაგრძელდება.

შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით - სასწავლო კურსები „რელიგიათმცოდნეობა“ და „ორატორული ხელოვნება“ გადატანილი იქნეს არჩევით საგნებში; სოციალურ და პოლიტიკურ ფილოსოფიაში უფრო ფუნდამენტური განათლების მისაღებად სავალდებულო საგნებს დაემატოს სასწავლო კურსი „პოლიტიკური ფილოსოფია“. დაწესებულება ამბობს, რომ რელიგიათმცოდნეობა, ასევე ორატორული ხელოვნება შეიცავს ფილოსოფიურ პრობლემატიკას და საკითხებს. სპეციალურ კურსად არ არის პროგრამაში წარმოდგენილი ,,პოლიტიკის ფილოსოფია'', თუმცა ეს მიმართულება გათვალისწინებულია ,,სოციალური ფილოსოფიის'', ,,ისტორიის ფილოსოფიის'' და სხვა კურსების შინაარსში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ რელიგიათმცოდნეობა და ორატორული ხელოვნება შეიძლება გაჯერდეს ფილოსოფიური ელემენტებით, მაგრამ ერთი თეოლოგიაა მეორე ფილოსოფია.
შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით - სასწავლო კურსში „აღმოსავლური ფილოსოფია“ თემაში „დეკონსტრუქცია“ გაიწეროს სათანადო ლიტერატურა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება მომავალ დროში პასუხობს სასწავლო კურსში ,,აღმოსავლური ფილოსოფია'' სავალდებულო ლიტერატურაში დამატებული იქნება მირიან ებანოიძის ,,დამხმარე სახელმძღვანელო“, რომელშიც განხილულია თემა „დეკონსტრუქცია“ ის იქნება მითითებული კურსის შინაარსში შესაბამის თემასთან მიმართებით. მისი თქმით ეს კარგია, მაგრამ რადგან მომავალში განხორციელდება ამიტომ დატოვეს რეკომენდაციად.
შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით: სასწავლო კურსში „შესავალი ფილოსოფიაში“, თემები „ფილოსოფიური თეორიები: მატერიალიზმი და იდეალიზმი“, „ობიექტური და სუბიექტური მატერიალიზმი“, „გულუბრყვილო–სტიქიური მატერიალიზმი“ ჩანაცვლდეს თანამედროვე ფილოსოფიურ პრობლემატიკასთან დაკავშირებული თემებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ იდეალიზმი, მატერიალიზმი, გულუბრყვილო სტიქიური მატერიალიზმი, სუბიექტური და ობიექტური, შეიძლება ფუნქციონირებდეს ფილოსოფიის ისტორიულ ღირებულებათა ველში. ექსპერტის თქმით ისინი ამაში ეთანხმებიან დაწესებულებას, მაგრამ ისტორიულ ღირებულებათა ველში და არა თანამედროვე ჭრილში, ადრეულ ლიტერატურაში შეიძლება ეს ტერმინები მისაღები იყო, მაგრამ თანამედროვე ლიტერეატურაში არა.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ, ასევე, გაიცა შემდეგ რეკომენდაცია: სასწავლო კურსიდან „ესთეტიკა“, თემები „ესთეტიკურის ძიება ანტიკურ ფილოსოფიაში; ქართული მითოლოგიური ესთეტიკის საკითხები“; „ქართული ნეოპლატონისტური ესთეტიკის საკითხები“; „სამყაროს სტრუქტურის ესთეტიკური პრინციპები ქართულ ნეოპლატონიზმში“ და „რენესანსის ხანის მხატვრული აზროვნების საკითხები საქართველოში; რუსთველის ესთეტიკური შეხედულებანი“ გადატანილი იქნეს სასწავლო კურსში „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, ან ქართული თემატიკის რაოდენობა შემცირდეს ერთ თემამდე და დანარჩენი თემები დაეთმოს თანამედროვე ესთეტიკის აქტუალური პრობლემების განხილვას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებბის წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა ხარისხის სამსახურთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათთან ყოველწლიურად ხდება თითოეული პროგრამის, აკადემიური პერსონალის შეფასება და ამ შეფასების შედეგებს ფაკულტეტის უზრუნველყოფს სამსახურის ხელმძღვანელი სპეციალისტებთან ერთად აცნობს თითოეულ დეპარტამენტს, რომელიც საკითხს, უშუალოდ, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად გადის და შემდეგ უკვე დერპარტამენტში ხდება ამ რეკომენდაციების განხილვა შესაბამისი რეაგირებით.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა მუშაობდა თუ არა ხარისხის ის მექანიზმი, რომელზეც დაწესებულების წარმომადგენელმა გაამახვილა ყურადღება.
დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა რომ ეს ნამდვილად მუშაობს, ხოლო ექსპერტების მხრიდან აღნიშული რეკომენდაციის საფუძველი ალბათ ის იყო რომ აკადემიურმა პერსონალმა სწორად ვერ მიაწოდა ექსპერტებს ინფორმაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ტრადიციები დაკავშირებულია დიდ სახელებთან და პროგრამა ხორციელდება მათი აკადემიური პერსონალის ინტელექტუალური რესურსებისა და შესაძლებლობებით. შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს საერთო გამოცდები, სადაც შუალედურ და ფინალურ გამოცდას აქვს 30 და 40 ქულა, აქტივობები კი ფასდება ჯამში 30 ქულით. ასევე გასათვალისწინებელია პრეზენტაციები და სხვადასხვა აქტივებობა, რომელიც

არის განსხვავებული წონადობის. შეფასების ყველაზე დიდი წილი მოდის ფინალურ გამოცდებზე. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა სანამ შეიცვლებოდა იყო რელიგიის კვლევები, ხოლო შემდეგ გასწორდა ქრონოლოგური ჩარჩო, გამოასწორეს ასევე დამთხვევები და შეუსაბამობები. პროგრამის ცვლილებამ რელიგიის თემატიკის სრული შეცვლა გამოიწვია, მაგრამ ზოგიერთ სილაბუსში რელიგიის თემების გადაჭარბება აიხსნება იმით, რომ რადიკალურად შეცვალეს პროგრამის შინაარსი და რელიგიური კვლევებიდან მაგისტრატურის პროგრამამ მიიღო ფილოსოფიის პროგრამის სახე, სწორედ ამიტომ ისინი ექსპერტებს ეთანხმებიან, რომ მეცნიერების ფილოსოფიის სილაბუსი მოითხოვს გადახედვას.
„ესთეტიკის“ სილაბუსთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ესთეტიკის“ კურსში ქართული თემატიკის სიჭარბე დასაშვებია, როცა ისინი წარმოდგენილია, როგორც მასალა და არ აზარალებს ესთეტიკის შინაარსსა და მოცულობას

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს წევრი ირინა გველესიანი დაინტერესდა დაწესებულება რა ღონისძიებებს ატარებს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებობს ერაზმუსის პროგრამები, რომლითაც თავადაც ისარგებლა და იმყოფებოდა ლოძის უნივერსიტეტში. მისი თქმით ძირითადი პრობლემა არის ენის კომპეტენცია, რაზეც უნივერსიტეტი ზრუნავს და უზრუნველყოფს ენის სწავლის დამატებითი შესაძლებლობების არსებობას. მან ასევე აღნიშნა, რომ სტუდენტები მონაწილეობენ კონფერენციებშიც, ისინი იმყოფებოდნენ ივანე ჯავახიშილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულ კონფერენციებზე, ასევე ამერიკათმცოდნეობის კონფერენციებზე და აქტიურად მონაწილეობენ უნივერსიტეტის შიდა კონფერენციებშიც.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე, დაამატა, რომ ინტერნაციონალიზაციის გასაძლიერებლად მაქსიმალურად ცდილობენ ენის კომპეტენციები აამაღლონ, ამიტომ მაქსიმალურად ზრდიან კრედიტების რაოდენობას თითოეულ პროგრამაში. ასევე განსახილველ პროგრამებზეც დაამატეს ერთი სემესტრი ინგლისურის მიმართულებით. ასევე ამ სემესტრიდან უნივერსიტეტში გაიხსნა უფასო მოსამზადებელი კურსები, რომელიც ფაკულტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება და ვინც სურვილს გამოთქვამს, რომ აიმაღლოს ინგლისური ენის კომპეტენცია ფაკულტეტი უსასყიდლოდ ეხმარება.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ჰყავთ აქტიური სტუდენტები, რომლებიც გამოსცემენ ჟურნალებს, მონაწილეობენ ფილოსოფიურ დისკუსიებში ა.შ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:55 სთ
დასრულების დრო: 15:12 სთ
კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და კენჭისყრა
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, მე - 3 სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენაssიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფილოსოფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ნგარიშის წარმოდგენით

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოსოფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია, „ფილოსოფიის“ საბაკალავრო პროგრამა უფრო მეტად ითვალისწინებდეს უახლოეს მიღწევებს დარგში;
2. რეკომენდირებულია, რომ პროგრამის ხელმძღვანელმა და ლექტორებმა სასწავლო კურსებში განაახლონ სასწავლო მასალა ახალი თარგმანების და ლიტერატურის გათვალისწინებით;
3. იმისათვის, რომ კურსდამთავრებულმა შეძლოს ორიგინალი ტექსტების (იგულისხმება მათი ქართული თარგმანები) განხილვა და მათზე კომპეტენტურად მსჯელობა, სავალდებულო მასალაში უნდა იყოს შეტანილი პირველწყაროები (ასევე, უახლესი ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა: სტატიები, კრებულები, მონოგრაფიები და ა.შ.) და სასემინარო მუშაობა უნდა გულისხმობდეს ამ წყაროების ნაწილობრივ ანალიზს მაინც;
4.სასწავლო კურსები „რელიგიათმცოდნეობა“ და „ორატორული ხელოვნება“ გადატანილი იქნეს არჩევით საგნებში; სოციალურ და პოლიტიკურ ფილოსოფიაში უფრო ფუნდამენტური განათლების მისაღებად სავალდებულო საგნებს დაემატოს სასწავლო კურსი „პოლიტიკური ფილოსოფია“;
5. მეტი ყურადღება დაეთმოს ძირითად ლიტერატურაში ორიგინალური ნაშრომების შეტანას;
6. განივრცოს და განახლდეს ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალი შემდეგ სასწავლო კურსებში: „აღმოსავლური ფილოსოფია“, „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, „შუა საუკუნეების ფილოსოფია“, „რელიგიის ფილოსოფია“, „ახალი დროის ფილოსოფია“, „სოციალური ფილოსოფია“, „სიცოცხლის ფილოსოფია“, „XX საუკუნის ფილოსოფია“, „ნეოპლატონიზმი“, „ცნობიერების ფილოსოფიური თეორია“.
7. სასწავლო კურსში „აღმოსავლური ფილოსოფია“ თემაში „დეკონსტრუქცია“ გაიწეროს სათანადო ლიტერატურა;
8. სასწავლო კურსში „შესავალი ფილოსოფიაში“, თემები „ფილოსოფიური თეორიები: მატერიალიზმი და იდეალიზმი“, „ობიექტური და სუბიექტური მატერიალიზმი“, „გულუბრყვილო–სტიქიური მატერიალიზმი“ ჩანაცვლდეს თანამედროვე ფილოსოფიურ პრობლემატიკასთან დაკავშირებული თემებით;

9. სასწავლო კურსში „ფილოსოფიის სისტემურ-მეთოდოლოგიური საფუძვლები“, თემა - „სიცოცხლის ფილოსოფია“ ჩანაცვლდეს კურსის შესაბამისი თემით. თავად კურსის შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს მეცნიერების ფილოსოფიის თანამედროვე ტენდენციებთან;
10. სასწავლო კურსში „ეთიკა“, თემები - „მანკიერებისა და გადმონაშთის ცნება; კლასობრივი ზნეობრივი შეგნების ჩამოყალიბება“; „ზნეობის კლასობრიობის პრინციპის დასმისა და გადაწყვეტის ალტერნატივები“ ჩანაცვლდეს თანამედროვე ეთიკური ტენდენციების ამსახველი თემებით;
11. სასწავლო კურსიდან „ესთეტიკა“, თემები - „ესთეტიკურის ძიება ანტიკურ ფილოსოფიაში; ქართული მითოლოგიური ესთეტიკის საკითხები“; „ქართული ნეოპლატონისტური ესთეტიკის საკითხები“; „სამყაროს სტრუქტურის ესთეტიკური პრინციპები ქართულ ნეოპლატონიზმში“ და „რენესანსის ხანის მხატვრული აზროვნების საკითხები საქართველოში; რუსთველის ესთეტიკური შეხედულებანი“ გადატანილი იქნეს სასწავლო კურსში „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, ან ქართული თემატიკის რაოდენობა შემცირდეს ერთ თემამდე და დანარჩენი თემები დაეთმოს თანამედროვე ესთეტიკის აქტუალური პრობლემების განხილვას;
12. დაიხვეწოს შეფასებითი კომპონენტებისათვის ხვედრითი წილის მინიჭების წესი, რათა გამოირიცხოს სხვადასხვა სირთულის კომპონენტებისთვის (მაგალითად, დისკუსია და პრეზენტაცია) ერთნაირი ხვედრითი წილის მინიჭება;
13. დაწესებულება უნდა გააქტიურდეს დასაქმების კუთხით, რათა გაიზარდოს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი კვალიფიკაციის შესაბამისად.
14. განახლდეს საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი უახლესი ქართული დარგობრივი ლიტერატურით;
15. რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის განმახორციელებელ თითოეულ პერსონალს უწყვეტად გაუზიაროს როგორც თავიანთი ინდივიდუალური შეფასებები, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის გასაუმჯობესებლად გამოყენებული შეფასების შედეგების შესახებ ერთიანი ანგარიში.

რჩევები:

1. სასურველია, ინტერნაციონალიზაციის უფრო მეტად გაძლიერება (კურიკულუმის ინტერნაციონალიზაცია, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მობილობა და ა.შ);
2. სასურველია, რომ გაზარდოს უცხო ენების კრედიტების მოცულობა თავისუფალ კომპონენტებში;
3. სასურველია, სასწავლო პროცესში გამოიყენებოდეს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები, კერძოდ, შებრუნებული საკლასო ოთახის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების, პროექტზე დაფუძნებული სწავლების და სხვა ჯგუფური მუშაობის წამახალისებელი მეთოდები;
4. სასურველია, საბაკალავრო პროგრამაში დამატებულ იქნას სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომი;
5. უსდ-მ უფრო მეტი ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს საერთაშორისო პროექტებში და მობილობაში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის თვალსაზრისით;
6. უსდ-მ უნდა შექმნას უფრო მეტი ელექტორნული რესურსი სტუდენტებისთვის, უპირველეს ყოვლისა - სასწავლო კურსების სილაბუსებში გათვალისწინებული მასალების ელექტორნული ვერსიები;
7. გარე, კოლეგიალური შეფასებების ობიექტურობისა და გამჭვირვალობისთვის, სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავოს სტანდარტული გარე შეფასების ფორმა, რომელიც ყველა გარე შემფასებელ კოლეგას საშუალებას მისცემს ერთნაირი კრიტერიუმებით განახორციელოს შეფასება;

8. სასურველია, ანალოგიური პროგრამების შედარებითმა ანალიზმა მოიცვას მოცემულ უნივერსიტეტებთან შედარების შედეგად გამოყენებული საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებიც;
9. პროგრამების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია უსდ-მ ანალოგიური პროგრამების შედარებითი ანალიზისას გამოიყენოს უცხოური უნივერსიტეტების საუკეთესო პრაქტიკაც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფილოსოფიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ნგარიშის წარმოდგენით

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოსოფიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:
1. რეკომენდირებულია, „ფილოსოფიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უფრო მეტად ითვალისწინებდეს უახლოეს მიღწევებს დარგში;
2. რეკომენდირებულია, რომ პროგრამის ხელმძღვანელმა და ლექტორებმა სასწავლო კურსებში განაახლონ სასწავლო მასალა ახალი თარგმანების და ლიტერატურის გათვალისწინებით;
3. რეკომენდირებულია, შემუშავდეს შეფასების ბევრად უფრო მკაცრი მექანიზმი. უნდა შემოწმდეს, თუ რამდენად შეესაბამება სამაგისტრო ნაშრომები აკადემიური წერის სტანდარტებს. ასევე, იმისთვის, რომ კურსდამთავრებულს შეეძლოს ორიგინალი ტექსტების (იგულისხმება მათი ქართული თარგმანები) განხილვა და მათზე კომპეტენტურად მსჯელობა, სავალდებულო მასალაში უნდა იყოს შეტანილი პირველწყაროები და სასემინარო მუშაობა უნდა გულისხმობდეს ამ წყაროების, სულ მცირე, ნაწილობრივ ანალიზს;
4. სასწავლო კურსი „რელიგია და კულტურა" გადატანილი იქნეს არჩევით საგნებში;
5. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი გათვალისწინებული სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად პირველადი წყაროები დაემატოს შემდეგ კურსებს „სოციალურ მეცნიერებათა ფილოსოფიური კვლევის ასპექტები", „არეოპაგიტიკა"; „ჰუმანიზმის

ფილოსოფია“; „ჰერმენევტიკა“; „სქოლასტიკა“, „გერმანული კლასიკური ფილოსოფია“, „აღმოსავლური აზროვნება“, „ისტორიის ფილოსოფია“, „თანამედროვე ფილოსოფიის აქტუალური პრობლემები“; „ანტიკური ეპოქის ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი პრობლემები“; „ქართული ფილოსოფიურ-ესთეტიკური კონცეფციები“;

6. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი გათვალისწინებული სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად გადაიხედოს სასწავლო კურსის „მეცნიერების ფილოსოფია“ შინაარსი;
7. დაიხვეწოს შეფასებითი კომპონენტებისათვის ხვედრითი წილის მინიჭების წესი, რათა გამოირიცხოს სხვადასხვა სირთულის კომპონენტებისთვის (მაგალითად, დისკუსია და პრეზენტაცია) ერთნაირი ხვედრითი წილის მინიჭება;
8. დაწესებულება უნდა გააქტიურდეს დასაქმების კუთხით რათა გაიზარდოს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი კვალიფიკაციის შესაბამისად;
9. რეკომენდებულია, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა/თანახელმძღვანელებმა უზრუნველყონ მაგისტრანტების მიერ აკადემიური წერის შესაბამისი სტანდარტების და ხარისხის სამაგისტრო ნაშრომების მომზადება;
10. რეკომენდებულია, რომ უსდ-მ განავითაროს ხელმძღვანელების საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმები, რაც ხელმძღვანელობის პროცესს უფრო ეფექტურს გახდეს;
11. განახლდეს საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი უახლესი ქართული და უცხოენოვანი დარგობრივი ლიტერატურით;
12. რეკომენდირებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის განმახორციელებელ თითოეულ პერსონალს უწყვეტად გაუზიაროს როგორც თავიანთი ინდივიდუალური შეფასებები, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის გასაუმჯობესებლად გამოყენებული შეფასების შედეგების შესახებ ერთიანი ანგარიში.

რჩევები:

1. სასურველია, ინტერნაციონალიზაციის უფრო მეტად გაძლიერება (კურიკულუმის ინტერნაციონალიზაცია, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მობილობა და ა.შ);
2. სასურველია, დამატებით ლიტერატურაში თანამედროვე უცხოენოვანი სტატიების რაოდენობის გაზრდა;
3. სასურველია, სპეციალობაში შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საკითხების წინასწარ გამოქვეყნების ნაცვლად, უსდ-მ გამოაქვეყნოს ის ლიტერატურა/სახელმძღვანელო, რომელსაც უნდა გაეცნონ აპლიკანტები გამოცდის ჩასაბარებლად და საიდანაც იქნება შერჩეული საგამოცდო საკითხები;
4. სასურველია, სასწავლო პროცესში გამოყენებულ იქნას სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები, კერძოდ, შებრუნებული საკლასო ოთახის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების, პროექტზე დაფუძნებული სწავლების და სხვა ჯგუფური მუშაობის წამახალისებელი მეთოდები;
5. უსდ-მ უფრო მეტი ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს საერთაშორისო პროექტებში და მობილობაში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის თვალსაზრისით;
6. უსდ-მ უნდა შექმნას უფრო მეტი ელექტორნული რესურსი სტუდენტებისთვის, უპირველეს ყოვლისა - სასწავლო კურსების სილაბუსებში გათვალისწინებული მასალების ელექტორნული ვერსიები;
7. გაიზარდოს ასისტენტ - პროფესორების რაოდენობა, რათა ხელი შეეწყოს ახალგაზრდა მეცნიერთა კარიერულ განვითარებას და მათ ინტეგრაციას პროგრამებსა და კვლევით საქმიანობაში;
8. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმებისას მეტი ყურადღება იქნეს მიქცეული აკადემიური ლიტერატურის დამოწმების წესზე;
9. პროგრამის სამომავლო განვითარების კუთხით ყურადღება გამახვილდეს ბიბლიოთეკის რარიტეტული წიგნების განყოფილებაში არსებული ნაშრომების შესწავლაზე;

10. სასურველია, პროგრამის ბიუჯეტში გაიზარდოს სამეცნიერო - კვლევითი და სხვა ხარჯები;
11. გარე, კოლეგიალური შეფასებების ობიექტურობისა და გამჭვირვალობისთვის, სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავოს სტანდარტული გარე შეფასების ფორმა, რომელიც ყველა გარე შემფასებელ კოლეგას საშუალებას მისცემს ერთნაირი კრიტერიუმებით განახორციელოს შეფასება;
12. სასურველია, ანალოგიური პროგრამების შედარებითმა ანალიზმა მოიცვას მოცემულ უნივერსიტეტებთან შედარების შედეგად გამოყენებული საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებიც;
13. პროგრამების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია უსდ-მ ანალოგიური პროგრამების შედარებითი ანალიზისას გამოიყენოს უცხოური უნივერსიტეტების საუკეთესო პრაქტიკაც.

მესამე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული ფილოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 01 ივნისის N68 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ქართული ფილოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქართული ფილოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ.თბილისი, 0102, პაატა სააკაძის N1
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა ნათია ზედგინიძემ, ლევან მოსახლიშვილმა და გურანდა ჭელიძემ.
საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ვიზიტმა შპს კავკასიის უნივერსიტეტში ჩაიარა კოსტრუქციულ გარემოში. ექსპერტებს აქვთ მხოლოდ ორი რეკომენდაცია:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აქტიურად აორგანიზებდეს ტრენინგებს და სამუშაო შეხვედრებს, როგორც სტუდენტებთან, ასევე აკადემიურ პერსონალთან სამეცნიერო ბაზების ეფექტური გამოყენების და სამეცნიერო წყაროების სანდოობის შეფასების საკითხებთან მიმართებაში. ასევე, უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ბიბლიოთეკის ნაწილში სამენციერო ბაზების გამოყენების წესის შესახებ ინფორმაცია (წვდომის რა მექანიზმები არსებობს, როგორ უნდა მოიქცეს დაინტერესებული პირი) ღიად ხელმისაწვდომი იყოს ყველასთვის, რათა ნებისმეირმა დაინტერესებულმა პირმა მოახერხოს მოცმეული რესურსებით სარგებლობა და გამოყენებისას ყოველ ჯერზე არ მოუხდეს ბიბლიოთეკის თანამშრომელთან კომუნიკაცია;
- რეკომენდირებულია, საერთაშორისო მონაცემთა ბაზების გამოყენების ხელშეწყობა სტუდენტებისთვის, განსაკუთრებით იმ ეტაპზე, როცა ისინი იწყებენ საკვალიფიკაციო ნაშრომის წერას, რათა აქტიურად მოიძიონ, გამოიყენონ და დაიმოწმონ უცხოენოვანი სამეცნიერო წყაროები თავიანთ ნაშრომებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებბის წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ დაწესებულება ყველა პროგრამის ფარგლებში ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს ყველა იმ საკითხს, რაც ექსპერტებს რეკომენდაციებში აქვთ მოქცეული. მათ აქვთ აკადემიური კვლევის ცენტრი, რომელიც აქტიურადაა ჩართული ამ პროცესებში, ისინი აქტიურად ატარებენ შეხვედრებს როგორც სტუდენტებთან, ასევე აკადემიურ პერსონალთან სამეცნირო ბაზების გამოყენებაზე, პლაგიატთან, აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებთან დაკავშირებით და ა.შ. რაც შეეხება ღია წვდომას გარკვეულ ბაზებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მიღმა ამის უფლებამოსილება გარკვეული პირობების ფარგლებში მათ არ აქვთ .
დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათ ამ წელს ჩაატარეს ტრენინგი EBSCO-ს სამეცნიერო ბაზის გამოყენებასთან დაკავშირებით როგორც სტუდენტებისთვის, ასევე

პროფესორ-მასწალებლებისთვისაც. ასევე ოქტომბერში ჰქონდათ ელსევიერის სამეცნიერო ბაზასთან დაკავშირებითაც ტრენინგი და შესაბამისი სერთიფიკატებიც გასცეს. ასევე იგეგმება ტრენინგი გაზაფხულის სემესტრის დასაწყისშივე, რადგან ამ პერიოდში სტუდენტები უკვე იწყებენ თემებზე მუშაობას. ამ კუხით უნივერსიტეტი ყოველთვის აქტიური იყო, მაგრამ კიდევ უფრო ცდილობენ გააქტიურდნენ, რადგან ეს უნივერსიტეტის ინტერესიც არის. ბაზების მოხმარება ისახება სტატისტიკაზე. უნივერსიტეტისთვის კი მნიშვნელოვანია ეს სტატისტიკა იყოს მზარდი. ბაზების ღია წვდომასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თითქმის ყველა ბაზა, არის ღია წვდომაში. მხოლოდ სამეცნიერო ბიბლიოთეკიდან შეძენილ ჟურნალებს არ აქვთ ღია წვდომა, ესეც იმიტომ, რომ ეს არ იყო გათვალისწინებული საბიბლიოთეკო პაკეტით. ასევე მათ საინტზე განთავსებული აქვთ ბაზების აღწერილობა, ასევე მოკლე ვიდეო, თუ როგორ უნდა შევიდეს ამა თუ იმ ბაზაში მომხმარებელი. რაც შეეხება პაროლებს და ბმულებს, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით მათ ვერ ათავსებენ საიტზე, რადგან უნივერსიტეტის გარეთ სხვა ორგანიზაციამ ან პირმა შეიძლება ისარგებლოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენად იყო შესაძლებელი უნივერსიტეტში სტუდენტს ჰქონოდა თავისი აიდი და უნივერსიტეტის გარედან შეძლებოდა სამეცნიერო ბაზებზე წვდომა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ გარკვეულ ბაზებს აქვთ რეგისტრაციის ფუნქცია, რეგისტრირდებიან უნივერსიტეტის მეილით და აქვთ გარე წვდომა. ებსკოს შემთხვევაში თვითონ მომწოდებელი იძლევა გარე წვდომისთვის მომხმარებელსა და პაროლს, რომელიც ყველა სტუდენტისთვის ერთია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე დაამატა, რომ ძირითად ბაზებზე ღია წვდომა არის გარედან, უბრალოდ ვებ-გვერდზე საჯაროდ არ დევს, ეს ყველაფერი სტუდენტებს ეგზავნებათ მეილზე. გარე წვდომა არ აქვთ მხოლოდ სამეცნიერო ჟურნალებზე.

საბჭოს წევრი ირინე ლობჟანიძე დაინტერესდა პროგრამის მიღების წინაპირობებთან დაკავშირბით, როგორც მან აღნიშნა ერთ-ერთ მოთხოვნაში წერია, რომ სტუდენტს ეროვნულ გამოცდაზე უნდა ჰქონდეს ჩაბარაბული ინგლისური ენა. პროგრამის სტუქტურას თუ დავაკვირდებით ვნახავთ, რომ ინგლისურის სწავლება იწყება B1 დონიდან, გრძელდება B2-ით და გადადის C1-ზე. რა ხდება იმ შემთხვევაში როდესაც სტუდენტი მობილობით გადმოდის და ინგლისური არ აქვს ჩაბარებული. არსებობს თუ არა რაიმე კურსები, სადაც გათვალისწინებულია A1 დონე ან რამე სხვა კურსი .

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მობილობით გადმოსულს შეუძლია დაიწყოს A1 დონიდან, მობილობით გადმოსული სტუდენტი იღებს ამ საგნებს რაც შეიძლება თავისუფალ კრედიტებშიც ჩაეთვალოს. შემდეგ კი აგრძელებს პროგრამის მოთხოვნის შესაბამისად B1 დონიდან. თუმცა სავალდებულოა, რომ C1 დონეს მიაღწიოს. დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ მსგავსი შემთხვევა ჯერ არ ჰქონიათ, მაგრამ თუ დადგება მსგავსი სიტუაცია, პროგრამა ამისთვის მზად არის.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ პროგრამა არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად აგებული, მან ფონეტიკისა და მორფოლოგიის საკითხების სასწავლო კურსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აღნიშნული კურსისთვის კვირაში მხოლოდ 2 საათია გამოყოფილი და 18 საათია სალექციო. ის დაინტერესდა, რამდენად იყო საკმარისი მინიჭებული კრედიტი ორი ნაწილისაგან შემდგარი სასწავლო კურსისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ გადაწყვიტეს ბაკალავრიატის დონეზე ერთი სილაბუსის ფარგლებში ესწავლებინათ აღნიშნული საკითხები, სტუდენტებისთვის მიეცათ ის ცოდნა, რომელიც საფუძველი გახდებოდა შემდეგ უკვე მაგისტრატურის დონეზე ფონეტიკისა და მორფოლოგიის უფრო სიღრმისეული სწავლებისათვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:34 სთ

დასრულების დრო: 18:38 სთ

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული აკრედიტაციის სტანდარტების საერთო შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქრის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აქტიურად აორგანიზებდეს ტრენინგებს და სამუშაო შეხვედრებს, როგორც სტუდენტებთან, ასევე აკადემიურ პერსონალთან სამეცნიერო ბაზების ეფექტური გამოყენების და სამეცნიერო წყაროების სანდოობის შეფასების საკითხებთან მიმართებაში. ასევე, უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ბიბლიოთეკის ნაწილში სამენციერო ბაზების გამოყენების წესის შესახებ ინფორმაცია (წვდომის რა მექანიზმები არსებობს, როგორ უნდა მოიქცეს დაინტერესებული პირი) ღიად ხელმისაწვდომი იყოს ყველასთვის, რათა ნებისმეირმა დაინტერესებულმა პირმა მოახერხოს მოცმეული რესურსებით სარგებლობა და გამოყენებისას ყოველ ჯერზე არ მოუხდეს ბიბლიოთეკის თანამშრომელთან კომუნიკაცია.

2. რეკომენდირებულია, საერთაშორისო მონაცემთა ბაზების გამოყენების ხელშეწყობა სტუდენტებისთვის, განსაკუთრებით იმ ეტაპზე, როცა ისინი იწყებენ საკვალიფიკაციო ნაშრომის წერას, რათა აქტიურად მოიძიონ, გამოიყენონ და დაიმოწმონ უცხოენოვანი სამეცნიერო წყაროები თავიანთ ნაშრომებში.

რჩევები:

1. სასურველია, უნივერსიტეტის მიღმა წვდომის ფუნქცია შესაძლებელი იყოს ყველა იმ სამეცნიერო ბაზაზე და ჟურნალზე, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის შენობიდან;
2. სასურველია, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ გამოიჩინოს სიფრთხილე სასწავლო ლიტერატურის გაციფრულების პროცესში, იმ შემთხვევაშიც თუ მისი გამოყენება ხდება საგანმანათლებლო მიზნებით, პროცესი არ უნდა წარიმართოს ისე, რომ მოიცავდეს მისი პირატულად გავრცელების რისკს, შესაბამისად სასურველია მხოლოდ გარკეული ნაწილის (არაუმეტეს სრული ტექსტის ნახევრისა) გაციფრულება და განთავსება;
3. აკადემიური დამოწმების სტილის სწავლებისას, აკადემიური წერის კურსში აღნიშნულია, რომ ერთ-ერთი სალექციო თემა ეხება სტილების მიმოხილვას, სასურველია, რომ ისწავლებოდეს მხოლოდ ის კონკრეტული სტილი, რომელსაც ითვალისწინებს უნივერსიტეტი კურსით განსაზღვრული აქტივობების, მაგალითად, რეფერატის, საკვალიფიკაციო ნაშრომისა თუ სხვა სამეცნიერო სტილის ნაშრომების მომზადებისას და სილაბუსშიც იყოს დასახელებული კონკრეტულად რომელ სტილს ანიჭებს უნივერსიტეტი უპირატესობას.

მეოთხე საკითხი: სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა:

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართულ ენაში მომზადება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2020 წლის 08 ივნისის N446515 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	-
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 4
9	კვალიფიკაციის დასახელება	-
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ.თბილისი, 0108, ძმები ზუბალაშვილების ქ. №47
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულ და მშვიდ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფმა განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- დაზუსტდეს პროგრამის მიზნები და შედეგები, ცალკეულ შემთხვევაში განხორციელდეს მსგავსი შინაარსის მქონე ფორმულირებების ამოღება და გაერთიანება.
- გადაიხედოს სილაბუსებში ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსის შესაბამისობა, მაგ.: პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, GeoFL-ის სასწავლო მასალა (ქართულის, როგორც უცხო ენისთვის შექმნილი სასწავლო რესურსი) დამხმარე ლიტერატურაში მიეთითოს.
- ხელი შეეწყოს პროგრამის სტუდენტების ინტეგრაციას აკადემიაში და მათთვის ინფორმაციის სრულყოფილ გაზიარებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებბის წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი მუშაობენ პირველ რეკომენდაციაში დასმული საკითხის გაუმჯობესებაზე, ხოლო რაც შეეხება ლიტერურასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, დაწესებულება ეთანხმება ექსპერტებს. სტუდენტთა ინტეგრაციის საკითხთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ამასთან დაკავშირებით გაწერილი აქვთ გეგმა, რაც გამოიხატება ექსკურსიებში, გამოფენებში და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებაში. ის მონეტი , რომ მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია სხვადასხვა გაცვლითი პროგრამების შესახებ უკვე გამოსწორებულია. უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში რა ღონისძიებებიც ჩატარდა, სტუდენტებს ამის შესახებ ინფორმაცია ჰქონდათ, ისინი იღებდნენ მონაწილეობას და ესწრებოდნენ აღნიშნულ ღონისძიებებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს წევრი მაკა კაჭარავა დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უზრუნველყოფს დაწესებულება განსახილველი პროგრამის მდგრადობას იმ ფონზე, როდესაც ყველა განმახორციელებელი პერსონალი არის მოწვეული, მათ შორის პროგრამის

ხელმძღვანელიც. საბჭოს წევრი, ასევე, დაინტერესდა ბიუჯეტით, მისი თქმით ბიუჯეტში 80 % -ზე მეტი იხარჯება მოწვეული პრესონალის ანაზღაურებაზე და ძალიან მცირე თანხა იხარჯება სასწავლო მასალის შეძენაზე. არცერთი თეთრი არ არის გამოყოფილი სტუდნტების აქტივობებზე, პერსონალის ტრენინგებისთვის და ა.შ. ასევე მან აღნიშნა, რომ პროგრამის სტრუქტურაში არ არის გათვალისწინებული ისეთი მნიშვნელოვანი კურსი, როგორიცაა ტოლერანტობა და მრავალფეროვნება, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში არის კურსი გაიცანი საქართველო, ეს საგანი აქცენტს აკეთებს საქართველოს ისტორიის სწავლებაზე და საქართველოს კუთხეებზე და ვერ ფარავს იმ საკითხებს, რასაც ტოლერანტობა გულისხმობს.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა პრობლემა, რაც საბჭოს წევრმა დასვა უკავშირდება იმას, რომ მათ ჰყავთ მცირერიცხოვანი კონტინგენტი. მისი თქმით, წლების განმავლობაში საერთოდ არ ჰყადათ სტუდენტები. ხოლო წელს ჰყავთ ორი სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტი. . დაწესებულებას აქვს კომუნიკაცია რეგიონებთან რესურს-ცენტრების საშუალებით, სადაც ცხოვრობენ ეთნიკური უმცირესობები. ჩაატარეს მცირე კვლევა ამ პროგრამის ცნობადობასთან დაკავშირებით. ასევე მათ ახალი წლის შემდგ ექნებათ გასვლითი საინფორმაციო ტურები. ეს კი უნდა მოხდეს იქამდე, ვიდრე დაიწყება აბიტურიენტების რეგისტაცია. ბიუჯეტთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტების სიმცირის გამო რთულია თანხებით ოპერირება. ამჟამად მათი მთავარი პრიორიტეტია პროგრამის ცნობადობის ამაღლება და პოპულარიზაცია.
დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათ აქვთ საგანი გაიცანი საქარველო, სადაც ფიქრობენ, რომ ტოლერანტობის თემა დაფარულია, თუმცა მაინც დაფიქრდებიან საბჭოს წევრის მოსაზრებაზე აღნიშნულთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრმა, ეკა შაკიაშვილმა აღნიშნა, რომ სასწავლო კურსებში შეინიშნება მცირე გადაფარვები, მაგალითად რამდენიმე სასწავლო კურსში მეორდება ოჯახი, ანბანი, საქართველოს კუთხეები და ა.შ ასევე პროგრამაში ნაკლებადაა წარმოდგენილი სინტაქსის სწავლება, ამიტომ ხომ არ აჯობებდა გადაფარვების ნაცვლად ამ საკითხებზე გამახვილებულიყო ყურადღება.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი დაფიქრდებიან აღნიშნულ საკითხზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობა დააყენა საბჭოსთან, რომ მათ მიერ მისაღები გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 31 დეკემბერს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:57 სთ
დასრულების დრო: 16:08 სთ
საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული აკრედიტაციის სტანდარტების საერთო შეფასება, ასევე საბჭოს მხირდან გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქრის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. დაზუსტდეს პროგრამის მიზნები და შედეგები, ცალკეულ შემთხვევაში განხორციელდეს მსგავსი შინაარსის მქონე ფორმულირებების ამოღება და გაერთიანება;
2. რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურაში აისახოს ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ამსახველი საკითხები, რაც განსაზღვრულია დარგობრივი მახასიათებლით და მნიშვნელოვანია სწავლის შედეგების სრულფასოვანი მიღწევისთვის;
3. გადაიხედოს სილაბუსებში ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსის შესაბამისობა, მაგ.: პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, GeoFL-ის სასწავლო მასალა (ქართულის, როგორც უცხო ენისთვის შექმნილი სასწავლო რესურსი) მიეთითოს დამხმარე ლიტერატურაში;
4. ხელი შეეწყოს პროგრამის სტუდენტების ინტეგრაციას აკადემიაში და მათთვის ინფორმაციის სრულყოფილ გაზიარებას;
5. რეკომენდებულია, პროგრამის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, პროგრამის ბიუჯეტში აისახოს (გარდა შრომის ანაზღაურების, სასწავლო მასალების ხარჯები) სხვა ტიპის შესაძლო ხარჯებიც;

რჩევები:

1. სასურველია პროგრამის ცნობადობის ასამაღლებლად გატარდეს რიგი ღონისძიებები, მაგალითად, კონკრეტულ რეგიონებში წასვლა და ინფორმაციის გავრცელება;
2. სასურველია დარგის სპეციფიკაზე მორგებული სახელმძღვანელოების (რიდერების) შექმნა;
3. უმჯობესია პროგრამის ხელმძღვანელი იყოს დაწესებულების აფილირებული აკადემიური პერსონალი და ასევე გაიაროს შესაბამისი ტრენინგები ქართული ენის, როგორც მეორე ენის სწავლების მეთოდიკაში.

მეხუთე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „საერთაშორისო ბიზნეს სამართლის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ბიზნეს სამართალი
2	საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საერთაშორისო ბიზნეს სამართალი
3	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
4	სტატუსი	აკრედიტებული
5	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2016 წლის 12 ივლისის N38 გადაწყვეტილება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -7
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის მაგისტრი
10	კვალიფიკაციის კოდი და დასახელება 120/ნ მიხედვით	06, სამართლის მაგისტრი
11	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
12	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 - სამართალი
13	სწავლების ენა	ინგლისური
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0171, ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქუჩა N77 ა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს ნათია ზედგინიძემ და ირინა გველესიანმა. საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიმდინარე წლის 7 ოქტომბრის №1256145 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა შპს საქართველოს უნივერსიტეტის „საერთაშორისო ბიზნეს სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით. უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე არაგეგმიურმა მონიტორინგმა მოიცვა პირველი, მე-2 და მე-4 (4.1, 4.2) სტანდარტები.

ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების“ მოთხოვნათა შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამას თან დაერთოს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც ასახული იქნება პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობა და მათი ლოგიკური კავშირი;
- პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდეს იმ სასწავლო კურს(ებ)ში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით მოხდება პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ის განმტკიცება;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას უსდ-მ გამოიყენოს იმ კონკრეტული დავალების (ეს შეიძლება იყოს ტესტი, გამოცდა, ესე, იმიტირებული პროცესი, პრაქტიკული დავალება, პროფესიული პრაქტიკისას მენტორის მიერ სტუდენტის შეფასება და ა.შ) შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს და აღნიშნულ დავალებებთან მიმართებაში დაადგინოს სამიზნე ნიშნულები;
- უსდ-მ შეიმუშავოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელშიც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის გარდა აისახოს თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი და განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა;
- რეკომენდებულია, სამოსამართლო ეთიკის წესების, მათ შორის, მოსამართლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის საკითხებისა და მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების თავისებურებების სწავლება განხორციედეს პროგრამის ძირითადი 7 სწავლების სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში, რათა მიღწეული იქნეს საერთაშორისო ბიზნეს სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები და სამართლის დარგობრივი მახასიათებელის მოთხოვნები.

ექსპერტის თქმით, დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებილი პოზიცია , რომელსაც თან დაურთო რეკომენდაციებთან დაკაშირებით შესრულებული სამუშაო, რაც იმას ნიშნავს რომ დაწესებულებამ ეს რეკომენდაციები გაიზიარა .

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებბის წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ექსპერტების მხრიდან მიიღეს ნამდვილად კონსტრუქციული დასკვნა და შესაბამისი არგუმენტირებული პასუხიც წარადგინეს. მათ გაითვალისწინეს ყველა რეკომენდაცია. მისი თქმით, პროგრამას ადრეც ჰქონდა სწავლის შედეგების რუკა, მაგრამ ახლა თან დაურთეს არგუმენტირებულს. სამოსამართლო ეთიკასთან დაკავშირებით შეიცვალა სილაბუსი, გაიზარდა საათების რაოდენობა და ბოლო რეკომენდაცია სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით ესეც მისაღებია და გაითვალისწინეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხვები არ ყოფილა.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:12 სთ
დასრულების დრო: 16:19 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის „საერთაშორისო ბიზნეს სამართლის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად:

- შეწყდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის „საერთაშორისო ბიზნეს სამართლის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება;
- მიჩნეულ იქნეს, რომ „საერთაშორისო ბიზნეს სამართლის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

მეექვსე საკითხი:შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "სოციალური მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციალური მეცნიერებები
2	საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები
3	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
4	სტატუსი	აკრედიტებული
5	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 25 მაისის N66 გადაწყვეტილება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-

8	კვალიფიკაციის დონე	მე -8
9	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალური მეცნიერებების დოქტორი
10	კვალიფიკაციის კოდი და დასახელება 120/ნ მიხედვით	• (07) სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი • (0705) საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი • (0701) ეკონომიკის დოქტორი • (0706) სოციოლოგიის დოქტორი • (0707) ფსიქოლოგიის დოქტორი • (10) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი • (1006) ფილოსოფიის დოქტორი • (1005) ფილოლოგიის დოქტორი • (1004) ისტორიის დოქტორი
11	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
12	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0319 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები - არაკლასიფიცირებული
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50
15	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0159, დავით აღმაშენებლის ხეივანი 240

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "სოციალური მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფს უნდა შეეფასებინა სადოქტორო საგანმანათლებლო

პროგრამასთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციების შესრულება. მან აღნიშნა, რომ პრაქტიკულად ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებულია და არცერთი რეკომენდაციის მიმართ არ იყო პრეტენზია გამოთქმული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

საბჭოს წევრების მხრიდან არ ყოფილა შეკითხვები .

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:37 სთ

დასრულების დრო: 16:40 სთ

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად:

1. შეწყდეს შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
2. მიჩნეულ იქნეს, რომ „სოციალური მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

მეშვიდე საკითხი: სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ,,მთის მდგრადი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	

		მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 24 აგვისტოს, #722884 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
8	კვალიფიკაციის დასახელება	ტურიზმის ბაკალავრი
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1015- მოგზაურობა, ტურიზმი, დასვენება
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
12	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0192 დ. გურამიშვილის გამზ. №17, მე-11 კორპუსი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს ეკატერინე შაკიაშვილმა და ლევან მოსახლიშვილმა. საფუძველი შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, მასზე თანდართულ დოკუმენტებსა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სტანდარტის 1.2 კომპონენტთან გაცემული რეკომენდაცია დაწესებულების მხრიდან შესრულებულია, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის: ,,სამიზნე ნიშნულები, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი" საფუძველზე, რომ სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა სამიზნე ნიშნულები და სწავლის შედეგების მექანიზმი, დაზუსტდა და მოდიფიცირდა სასწავლო კურსების მიმართება თითოეულ სწავლის შედეგთან კურსის შინაარსის და სპეციფიკის გათვალისწინებით. სტანდარტის 2.2 კომპონენტთან გაცემულ რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ყველა რეკომედაცია შესრულებულია. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის : ,,მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი“ სტრუქტურის და შინაარსის უფრო მეტი შესაბამისობისათვის პროგრამის კურიკულუმი /სასწავლო გეგმა გამრავალფეროვნდა (დაემატა სასწავლო კურსები), სადაც უფრო ნათლად არის გაზიარებული /წარმოდგენილი დარგის სპეციფიკა და მოთხოვნები. პროგრამის სასწავლო გეგმაში წარმოდგენილ სასწავლო კურსებთან მიმართებით პროგრამის განმავითარებელი სამუშაო ჯგუფის მიერ გადამოწმდა დაშვების წინაპირობები და კურსების სპეციფიკიდან და შინაარსიდან გამომდინარე აისახა ცვლილებები. ასევე დაზუსტდა პროგრამის სასწავლო კურსების შესაბამისობა სასწავლო კურსების სახელწოდებებთან მიმართებით, ასევე გადამოწმდა სილაბუსებში შინაარსის და თემების განმეორება-გადაფარვის საკითხი, აღნიშნულიდან გამომდინარე მოდიფიცირდა შემდეგი სასწავლო კურსების სილაბუსები: ,,მდგრადი ტურიზმი და თანამედროვეობა და ტურიზმი მთის რეგიონებში”, ეს უკანასკნელი კი მოდიფიცირდა, როგორც: ,,მთის რეგიონული ტურიზმი” . ასევე, საბაკალავრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობად განისაზღვრა დარგის/სპეციალობის სავალდებულო კურსები.

სტანდარტის 2.4 კომპონენტთან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამაში სასწავლო გეგმის მიხედვით გათვალისწინებული სავალდებულო პრაქტიკის კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებამ დამატებით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები გააფორმა სხვადასხვა ინსტიტუციებთან.

სტანდარტის 4.3. კომპონენტთან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად დასტურდება, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს აქვთ წვდომა საბიბლიოთეკო რესურსზე, იმავდროულად სტუდენტები ინფორმირებულები არიან საბიბლიოთეკო რესურსის (ელ. ბაზა) გამოყენების წესების შესახებ - უფრო მეტი გამჭვირვალობისათვის და ხელმისაწვდომობისათვის შესაძლებელია, როგორც ბიბლიოთეკაში (საინფორმაციო დაფა), ისე დაწესებულების ვებ გვერდზე გაეცნონ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს.

რაც შეეხება სტანდარტის 5.1 კომპონენტთან გაცემულ რეკომენდაციას, ექსპერტის თქმით, წარმოდგენილი დოკუმენტაციით კვლავ დასტურდება, რომ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების ხარისხის გაუმჯობესების და პროგრამის განვითარების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ სასწავლო კურსების (სასწავლო პროცესი) ფარგლებში, ასევე შიდა და გარე შეფასების სხვა მექანიზმების გამოყენებით, ეწყობა შეხვედრები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან, ჯგუფური შეხვედრების და კითხვარების საფუძველზე ხდება დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების, რჩევებისა და რეკომენდაციების თავმოყრა, მიღებული შედეგებს განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და პროგრამის ხელმძღვანელი და ერთობლივად შეჯერებული ინიციატივების მიხედვით ხდება პროგრამის შინაარსის და/ან სასწავლო გეგმის და/ან სილაბუსების მოდიფიცირება.

ექსპერტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დაწესებულებამ თითოეული რეკომენდაცია ზედმიწევნით გაანალიზა, განიხილა და შეასრულა .

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ თერთმეტივე რეკომენდაცია შეასრულეს ზედმიწევნით. მისი თქმით, 5.1 სტანდარტთან მიმართებით დაწესებულების მხრიდან დიდი შრომა არის გაწეული, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველ კვირა ახორციელებდა ღონისძიებებს აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხვები არ ყოფილა .

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:54 სთ
დასრულების დრო: 17:23 სთ
აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და კენჭისყრა:

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მთის მდგრადი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მთის მდგრადი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ ცენტრის წარმომადგენელმა აკრედიტაციის საბჭოს წინაშე ითხოვა შუამდგომლობის დაყენება,რომელიც ეხებოდა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წერილობით გამოგზავნილ მოთხოვნას პროგრამის აკრედიტაციის ვადის განსაზღვრის თაობაზე. მან აღნიშნა, რომ 2022 წლის 26 დეკემბერს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან შემოვიდა კორესპონდენცია, რომლითაც დაწესებულება ითხოვს ''მასობრივი კომუნიკაცია და ჟურნალისტიკის'' სადოქტორო პროგრამისათვის, რომელსაც აკრედიტაციის ვადა ეწურება 2022 წლის 28 დეკემბერს, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, სტუდენტების კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის უწყვეტობის მიზნით, “მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის” სადოქტორო პროგრამაზე არსებულ სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა, რომ აკრედიტებულ რეჟიმში დაასრულონ მიმდინარე სასწავლო წელი და ამისათვის, საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად აკრედიტაციის საბჭოს მიერ განესაზღვროს მიმდინარე სასწავლო წლის დასრულების თარიღი.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რამ გამოიწვია აღნიშნული შუამდგომლობა.
ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ უნივერსიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება პროგრამის გაუქმებასთან დაკავშირებით და აღარ იქნა წარმოდგენილი აკრედიტაციაზე.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა დეტალებით, თუ რა იყო შუამდგომლობის საფუძველი.
დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში არსებული დოქტორანტები დაასრულებენ შესაბამის კომპონენტებს, ზოგი კვლევითს, ზოგი სასწავლო კომპონენტის ნაწილს, შემდეგ კი შიდა მობილობით გახდებოდა შესაძლებელი მათი გადაყვანა აკრედიტებულ სოციალურ მეცნიერებათა, ან სხვა სადოქტორო პროგრამაზე. აკრედიტაციის ვადა საგანმანათლებლო პროგრამას 28 დეკემბერს ეწურება. რაც შეეხება გაუქმების გადაწყვეტილებას, რამდენიმე თვეა ამ მიმართულებით მსჯელობენ, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთანაც ჰქონდათ წერილობითი კომუნიკაცია ამ საკითხზე.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენი დოქტორანტია ამ პროგრამაზე დაცვის მოლოდინის რეჟიმში.

რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ჯამში ჰყავთ 7 დოქტორანტი და 5 არის დაცვის რეჟიმში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დროო : 17:32 სთ
დასრულების დრო : 18:20სთ

საბჭომ არ დააკმაყოფილა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შუამდგომლობა. აკრედიტაციის საბჭომ მიიჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც ხორციელდებოდა პირობითი აკრედიტაციის რეჟიმში. პირობითი აკრედიტაციის მიღების მომენტში, 2021 წელს, საგანმანათლებლო პროგრამას ჰქონდა 3 სტანდარტთან მიმართებით ნაწილობრივი შესაბამისობა. რეკომენდაციები გაცემული იყო სხვადასხვა მიმართულებით, რომელიც ეხებოდა პროგრამის სტრუქტურას, სასწავლო კომპონენტის გაძლიერებას, კვლევითი კომპონენტის მხარდაჭერას და წახალისებას, პროგრამის მიერ დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მკვლევრების მოზიდვის საჭიროებას, რომლებიც ხელმძღვანელობას/თანახელმძღვანელობას გაუწევენ საკვალიფიკაციო ნაშრომებს და სხვა. შესაბამისად, პროგრამის მიერ ვადის ამოწურვის შემდეგ, არ არის მიზანშეწონილი პროგრამისთვის ვადის გახანგძლივება, რადგან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროგრამის სათანადო ხარისხის პირობებში განხორციელება, ხოლო დაწესებულებისგან მიღებული ინფორმაციით, დაწესებულება აუქმებს საგანმანათლებლო პროგრამას, შესაბამისად, ვერ დგინდება ამ ეტაპზე მიღებულ რეკომენდაციების გათვალისწინებაზე მუშაობა და განხორციელებული შედეგი. დაწესებულებას შეეძლო, შეემუშავებინა მოქნილი აკადემიური კალენდარი, რომელიც პროგრამაზე არსებულ სტუდენტებს მისცემდა შესაძლებლობას, რომ 2022 წლის დეკემბრის ბოლომდე დაესრულებიდა სასწავლო წლის პირველი სემესტრი და სტუდენტებს შეესრულებინათ პირველ სემესტრში დაგეგმილი აქტივობები.

მერვე საკითხი: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 17 ივლისის №662814 "სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ინტერდისციპლინური საგანმანათლებლო პროგრამისგან გამოყოფის შესახებ" გადაწყვეტილებაში ცვლილების განხორციელების საკითხის განხილვა.

მეცხრე საკითხი: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 28 აგვისტოს №952867 "სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ სადოქტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და კვალიფიკაციის კოდისა და სახელწოდების ცვლილების შესახებ" გადაწყვეტილებაში ცვლილების განხორციელების საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ირინა ლობჟანიძემ. საფუძველი შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

ცენტრის თანამშრომელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 17 ივლისის №662814 გადაწყვეტილების დანართ N1 - ის მე - 19 პუნქტში და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 28 აგვისტოს №952867 დანართ N1 - ის მე - 18 პუნქტებში აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად მითითებული უნდა იყოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კლასტერის ვადა, 2022 წლის 28 თებერვალი.
საბჭოზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო 18:40
დასრულების დრო18:50
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ინტერდისციპლინური საგანმანათლებლო პროგრამისგან გამოყოფის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 17 ივნისის №662814 გადაწყვეტილებაში ცვლილების განხორციელების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, 2022 წლის 17 ივლისის №662814 "სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ინტერდისციპლინური საგანმანათლებლო პროგრამისგან გამოყოფის შესახებ" გადაწყვეტილების დანართი №1-ში შევიდეს ცვლილება და მე-19 პუქტში აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად განისაზღვროს ჰუმანიატრულ მეცნიერებათა კლასტერის ვადა, კერძოდ 2022 წლის 28 თებერვალი;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა “სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ სადოქტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებითდაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და კვალიფიკაციის კოდისა და სახელწოდების ცვლილების შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 26 აგვისტოს №952867 გადაწყვეტილებაში ცვლილების განხორციელების საკითხი
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, 2022 წლის 28 აგვისტოს №952867 "სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ სადოქტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და კვალიფიკაციის

კოდისა და სახელწოდების ცვლილების შესახებ" გადაწყვეტილების დანართი №1-ში შევიდეს ცვლილება და მე-18 პუქტში აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად განისაზღვროს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კლასტერის ვადა, კერძოდ 2022 წლის 28 თებერვალი

საბჭოს სხდომა დასრულდა 18:50 საათზე

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით